მატჩი კიევში

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 24 მაისი.

”დინამო” (კიევი) – ”დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

კიევი: მიხაილოვი, კონკოვი, ბალტაჩა, ბალი, დემიანენკო, ლოზინსკი, ხლუსი (ბოიკო), ევტუშენკო (ბურიაკი), ბესონოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

თბილისი: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (ჯოხაძე), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფვიანი, შენგელია.

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

მატჩს დაესწრო 97.295 მაყურებელი.

დუბლიორები - 1:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ჩელებაძემ და ჭილაიამ.

თბილისის ”დინამოს” - ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე გამარჯვებულს, უკრაინის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე სანაქებო შეხვედრა მოუწყვეს: სტუმრებს მიულოცეს საქართველოში სამჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავი, მიართვეს ტრადიციული პური და მარილი, ყვავილები, ხოლო კიევის დინამოელებმა ჩვენს ფეხბურთელებს გადასცეს სამახსოვრო ნიშნები.

კიევის ”დინამო” 1975 წელს თვით იყო ევროპული თასის მფლობელი, ახლა კი ამავე წოდებას ფლობენ მათი მეტოქეები, ამიტომ ეს მატჩი საყოველთაო ინტერესს იწვევდა. იგი თავიდანვე აღინიშნა უკიდურესად დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლით. ტერიტორიული უპირატესობა ერთხანს მასპინძელთ მხარეზე იყო, ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობანი შეექმნათ ბლოხინს, ხლუსს, სტუმრების კართან ზედიზედ მოაწოდეს რამდენიმე კუთხური. შემდეგ საპასუხო იერიშები განავითარეს თბილისელებმაც. ბურთის გატანა შეეძლო შენგელიას.

გაცილებით უფრო მოიმატა ტემპმა შესვენების შემდეგ, მასპინძლებს რამდენიმე აქტიური თავდამსხმელი ჰყავდათ წაწეული წინა პოზიციაზე, თბილისელები კი უმთავრესად შუა მინდვრიდან იწყებდნენ კომბინაციას და გადამწყვეტი დარტყმისთვის ბურთს აწვდიდნენ შენგელიას. ერთ-ერთ მომენტში მეკარე მიხაილოვს ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა დარასელიასაგან.

84-ე წუთზე მასპინძლებმა ცენტრალური ზონიდან წამოიწყეს კომბინაცია, გააგრძელეს მარცხენა ფლანგზე და კარის წინ ბლოხინს ბურთი გადასცეს, რომელიც ამ მომენტში უმეთვალყურეოდ იყო დარჩენილი. მან კარგად გამოიყენა თავისი შანსი და გამარჯვება მოუტანა კიეველთა გუნდს - 1:0.

ამ მატჩში დაწესებული იყო სპეციალური პრიზები საუკეთესო მოთამაშეთათვის. კიეველთაგან ჯილდო გადაეცა ვ. ბესონოვს, ხოლო თბილისელთაგან - თ. სულაქველიძეს. ამას გარდა, პირველი გოლის გატანისთვის პრიზით დაჯილდოვდა ო. ბლოხინი.

”ლელო”, 26 მაისი 1981 წ.